

# საქართველო

სახალხო ფრონტი

№ 3

22 XI 1989

## მამულიშვილნო, პართველნო, გომრბიანნო!

დასრულდა მოწამებრივი გზა დიდი მამულიშვილისა, ჩვენი ძმისა და მეგობრის, ყველა ქართველისათვის საფიცარი მერაბ კოსტავასი. ჭეშმარიტად დიდია ღვაწლი, რომელიც მან დახლო საქართველოს თავისი თავდადებით, თავისი შემართებით, თავისი სიბრძნით, თავისი მაღალი წინეობით, მაღალწინეობრივი მაგალითით.

ძმანო, დღევანდელი დღე მ აპრილის ტოლია. ღვთის დიდება გადმოვიდა საქართველოზე, ძმანო, რამეთუ ამაღლდა დიდი ქართველი და დაჰნათის საქართველოს, ვითარცა წამებულნი მ აპრილისანი და მოგვიწოდებს თავდადებისკენ, მამულის სიყვარულისკენ, ურთიერთ სიყვარულისკენ. თავისი დიდი გულით მერაბ კოსტავამ გააერთიანა საქართველო. მას ყველა უყვარდა, რამეთუ უწყლოა: უკეთუ არ შევიყვარეთ ურთიერთი, არ შეგვიყვარებ უფალი, ვერ გადარჩება ჩვენი სამშობლო. აი, ეს არის მერაბის ანდერძი: იყვარებოდეთ ურთიერთს, აი, მერაბის კრედი ცხოვრებისეული, აი, ის მიზანი, რომლისკენაც უნდა ვილტვოდეთ ჩვენ.

ძმანო, მოვექცეთ სარწმუნოებაზე, დავიბრუნოთ წინაპრების სარწმუნოება, რამეთუ წარვწყმდებით წინაპრეთაგან ცოდვითა ჩვენთარსა, უკეთუ არა მოვექცეთ, მოვწყდეთ ცოდვითა შინა — აი, მერაბის ანდერძი, ძმანო! ვემსახუროთ უფალს, რომელსაც მსახურებდნენ ჩვენი წინაპრები, განვწმინდოთ გულნი ჩვენნი, აი, მერაბის ანდერძი, ძმანო!

რადღა უნდა რეფერენდუმი საქართველოს, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა აღიარა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდის დიდება, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა ამოაცხა მერაბი წინაპართა, წმინდანთა და მოღვაწეთა სამკვიდრებელში. განა მერაბთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ამოვიდა აქ, ძმანო? განა არ განიწმინდა ამით ჩვენი მოძრაობა, ჩვენი ერი.

ძმანო, დამუნჯებული ვართ მწუხარებისგან. გაგვიშრა ცრემლი შენს ძმებს, გაგვიშრა ცრემლი. მძიმეა ტვირთი, რომელიც შეგვტოვა მხრებზე, ძმანო!

უტყვია მწუხარება, ვეღარ მითქვამს გულის ნადები. იმას კი გეტყვი, რომ ჩვენს გულში ანთებული სანთლები გაგინათებს გზას სულეთისას, ვითარცა შენი ხატება გაგვინათებს ჩვენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. დიას, ძმანო, მთელი საქართველო დაგტირის, მაგრამ შენ აღაზევე დღეს საქართველო! აღაზევე შენი მსხვერპლით, რამეთუ არ შეუშინდი სიკვდილს, ძმანო, შენი ცხოვრება ვეფხისა და მოყმის ბრძოლას გავდა, და არც შენ შახვიდი, ძმანო, ვეფხს ჭკვიანი.

მრავალჯერ გაგაფრთხილე, მრავალჯერ გთხოვე: შენი ძვირფასი სიცოცხლე შეგვიწარჩუნე, მაგრამ შენ მუდამ მაღლა იდგე ყოველგვარ შიშზე, მუდამ მაღლა იდგე ყოველგვარ სულმოკლეობაზე! წინაპრების სასუფეველიდან მოგვივლინა უფალმან წინაპარი ჩვენი აღმდგარი, რამეთუ დავეცით, რამეთუ ვუღალატეთ სარწმუნოებას, ვუღალატეთ წინეობას, ვუღალატეთ ერს! და იგი მოგვევლინა, რათა შთაგვებრუნოთ სული გმირობისა, შეუპოვრობისა, მამულისათვის თავდადებისა. აწ აღვსდგეთ და მივხედოთ მაგალითს მისას, რათა ვიხსნათ ერი ჩვენი, გათელილი მტრის ჩექმის ქვეშ, იგი გაგვიძლევს, ძმანო! იგი არ მომკვდარა, იგი კვლავ შეგვასმენს თავის გმირულ შავლეგოს, დაამხობს მტერს და განათავისუფლებს საქართველოს!

საუკუნოდ იყოს, ძმანო, ხსენება შენი! შენი ერი შენთან არის, შენ მიერ გაღვიბებული ივერი შენთან არის, ძმანო, დიდი ილიას გვერდით დამკვიდრებულნი!

ზვიად გამსახურდიას



„შენ არ მომკვდარარ, შენ გძინავს, მოქანცული ხარ ბრძოლათა“ — ასე მიმართავს დედა ვეფხთან მებრძოლ რაინდს ქართულ ხალხურ თქმულებაში. ასევე შეგვიძლია ჩვენი მიმართოთ მერაბ კოსტავას ცხედარს, ის თუ მართლა შემთხვევითობის მსხვერპლია, რაც მე არ მჯერა, მაინც დაღუპულია იმ ბრძოლაში, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურებოდა. დაღუპულია იმ ბრძოლაში, რომელსაც საქართვე-

ლოს თავისუფლება ჰქვია და რაკი ამ ბრძოლაში დაღუპული ბუნებრივია. რომ ჩვენ მისი გლოვა არ გემართება. ამის მეტს აღარ გიტყვებთ, შენ არ ხარ სატირალი“. არ ხარ სატირალი, რადგან მართალი სიცოცხლის გზაზე დაღევი ჩვენი ხალხისა და ჩვენი ერის გულში, როგორც ვაჟა იტყვოდა: „მიუხედავ მამა-პაპათა ამოღებულის ხანჯრითა“. მე მინდა ვთქვა, რომ დღეს საქართველო გოლგოთის გზით მიდის. აღმართავს ის გოლ-

გოთაზე საქართველოს თავისუფლებისა და გამარჯვების ჭეშრს. თუ თვითონ მას გააკრავენ ამ ჭეშრზე, ეს იმანვე დამოკიდებულია, რამდენად ვაჟაკები ვიქნებით ჩვენ, რამდენად პატიოსანი და რამდენად გონიერი. შენ ამ ვაჟაკობის, გონიერებისა და პატიოსანების მაგალითი აჩვენე. ამიტომ ღრმად ვართ დაწმენებული, რომ უკანასკნელი ქართველიც, ვინც კი გადარჩება, ის იტანს ამ დროშას და აღმართავს, როგორც თავისუფალი საქართველოს სიმბოლოს. ამიტომ მინდა მე, გამოგეთხოვო შენ ისეთი სიტყვებით, რომელიც შეიძლება გლოვისათვის არ არის შესაფერისი, მაგრამ შესაფერისია შენი ცხოვრებისათვის: გაუმარჯოს მერაბ კოსტავას, საქართველოს შიშველ სატე- ვარს!

აბაკი გაბრაძე

### უხსრულდა საქართველოს ეროვნული გიგანის მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან 40 დღე. ამაღსთან დაკავშირებით გუშინ თბილისში გაიმართა სამგლოვნიარო მიტინგი. დღეს გთავაზოვთ მერაბ კოსტავას დაკრძალვაზე ზვიად გამსახურდიას, ნოდარ ნათაძის და აბაკი გაბრაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს.

საპარტიველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არასოდეს შემწყდარა. იმ დროს, როცა ფიგურალურად რომ ვთქვათ, დამოკიდებული კაცისთვის თავის წამოწევა და შუბლით ტყვიის მოხვედრა ერთი იყო, საქართველოში ყოველ წელიწადს ან ორ წელიწადში ერთხელ მაინც წინდებოდა პარტიოტთა ჭკუნი, რომელსაც აპატიმრებდნენ. სიცოცხლეს უსაბუნდოდ ან 25 წლით პატიმრობას უხვდნენ. ამ აღამიანებს არ ჰქონდათ გამარჯვების ნახვის იმედი. მაგრამ მაინც დგებოდნენ ფეხზე მხოლოდ იმის უტყუარი შეგნებით, რომ არ შეიძლებოდა თვით უმძიმეს ხანაშიც კი ყველა ქართველი დაჩოქილ მდგომარეობაში დარჩენილიყო. ეს იყო ერთგვარი სიხსლიანი ბრძოლა, რომელსაც საქართველო თავისი დიხების დასაცავად იხდიდა. მერაბ კოსტავამ თავისი მამულიშვილური მოღვაწეობა სწორედ იმ დროს დაიწყო, ჭკრ კიდევ უმარჯობდა, რადგან იგი სწორედ იმ ხულოერი წყობის კაცი იყო, რომელსაც ის აღამიანები ეკუთვნებოდნენ.

მტრის უწყალო ხელი მის მოკვებას შეძლებდა. ამ დროსაც გამოჩნდა პარტიოტთა ისეთი ჭკუნი, რომელსაც უკვე უშუალო, პრაქტიკულად მიღწევადი ამოცანები დაიხსნა გრძელვადიანთან ერთად და საქართველოს საუკუნოვან წყლულთაგან განკურნებისთვის ბრძოლას შეუდგა. ეს იყო ჭკუნი, რომელსაც სათავეში ედგნენ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. მან დრმა კვალი დააჩნია ქართველი ხალხის ცნობიერებას, მის ეროვნულ გამოღვიძებას.

მოწინააღმდეგე არ დააყოვნა და მერაბ კოსტავას ათი წლის უმძიმესი ტანჯვა არ გუნა. დაბრუნდა მერაბი, უტეხი მებრძოლის შარავანდით მოხილი, და იმ დღეზე დადგა ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. მოვიდა ახალ ვითარებაში, როცა ეროვნული მოძრაობა საქართველოში უკვე ფართო იყო იმდენად, რომ ხხვადახხვა აზრი, ხხვადახხვა განწყობილება არსებობდა და მათ შორის ყოველ მომენტში სწორი არჩევანი იყო საჭირო. მერაბის სიბრძნე, გამოცდილება და მტკიცე, უმწყალო გული აქ იხე აღმოჩნდა საჭირო, როგორც პერი. მერაბი უდიდესი მორალური ავტორიტეტი გახდა ყველასათვის და ახეთად დარჩა.

დადგა მძიმე დღეები და მტერმა საქართველოს პროვოცირება მოხდომდა შეუფერებელ დროს და შეუფერებელ ვითარებაში ბრძოლაში ჩასაბმელად, მართებულ გაბედულ ნაბიჯებთან ერთად უმართებულის გადასადგმელად. მერაბი აქაც შეუცვლელი აღმოჩნდა, რადგან მას მხოლოდ იმის უნარი კი არ ჰქონდა ბუნებით მომადლებული, რომ მტერს თავისი სხეულით აჰგარებოდა, არამედ იმისაც, რომ თავისიანებს წინ აღდგომოდა და უფსკრული-სკენ არ გაეშვა.

მერაბი აღარ არის. აღარ არის ჩვენი გამოჩენილი წინამძღოლი, ჩვენი უხინჯო რაინდი და ზნეობრივი გუშაგი. ჩვენს მოწინააღმდეგეს მხურს ისეთი ვითარების გაცოცხლება, როცა საქართველოსთვის ბრძოლა მხოლოდ თავის დაღებად იქცევა და არა რეალური შედეგის მიღწევად. არ არის გამოიცხული, რომ ისევე ტერორის, ანუ — ქართულად რომ ვთქვათ — შიშის ხანა მოდიოდეს, — მოდიოდეს, რა თქმა უნდა, დროებით, რადგან დიდი პერსპექტივა შეშვე დამყარებულ პოლიტიკას აღარა აქვს. ჩვენი ვალია, არ შევუშინდეთ ამ ხანას. ვიყოთ ბრძენნი, მაგრამ მტკიცენი. მტკიცენი, მაგრამ ბრძენნი. მერაბის სხოვნის პატივისცემა ისაა, რომ ჩვენს ეროვნულ საქმეს მერაბისთანა წინადა გულის, მტკიცე ხულისა და ფხიზელი გონების ადამიანები არ მოაკლდნენ.

მშვიდად განისვენე, მერაბ, თავდადებულნი და სახელოვანი მამულიშვილო, სამშობლოსთვის სიცოცხლეზე ათასჯერ მეტის შემწირველო. მსუბუქი იყოს შენს გულზე საქართველოს მიწა!

ნოდარ ნათაძე

# საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

# სესიაზე ნაკრძალული სიტყვები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ ჩატარდა, მიიღო საქართველოს კონსტიტუციის მნიშვნელოვანი შესწორებები. ამ შესწორებების შედეგად საქართველოს კონსტიტუცია ეროვნული სუვერენიტეტის ხარისხის მხრივ, შეიძლება ითქვას, დაეწია ბალტიის რესპუბლიკათა კონსტიტუციებს, ხოლო ერთი მუხლი — 69-ე — ამ რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამის მუხლებზე უკეთესადაც კი დაფორმულდა. გარდა ამისა, უზენაესი საბჭომ ამ სესიაზე დაადგინა, რომ საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების თავდახმამ საქართველოზე 1921 წლის თებერვალში იყო საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევა, რომ მოხდა საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.

ამგვარად, წინ გადაიდგა ერთი დიდი ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული მექანიზმის შექმნის ერთ-ერთ შესაძლო გზაზე — ამ მექანიზმებისთვის არსებული კონსტიტუციის გამოყენების გზაზე. თუმცა, აღბაი, ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ არც იურიდიული მექანიზმების ძებნის ეს გზა, კერძოდ, და არც მოქმედების იურიდიული პარლამენტური ფორმები, საერთოდ, არ არის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთადერთი შესაძლო ფორმა; მაინც უდავოა, რომ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სესიაზე აღიბრა მრავალი საქართველოს პარტიული, მაგრამ საქმე არ მისულა გადაწყვეტილების პროექტის ჩამოყალიბებამდე და კენჭისყრამდე. უახლოეს დროში (ერთი ან ერთნახევარი თვის მანძილზე) უზენაესი საბჭოს სავანგებო სესიის მოწვევის აუცილებლობა ნათელია.

ნოდარ ნათაძე.

# თბილისი, პოპკობის სახლი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიას

პროტესტს ვაცხადებ იმის გამო, რომ სესიამ არ განიხილა მრავალი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და სოციალური პრობლემები. არ მიეცა სათანადო პოლიტიკური, ზნეობრივი და სამართლებრივი შეფასება აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში მომხდარ ანტიქართულ და ანტიკომუნისტურ აქციებს. დღემდე არ არიან დასჯილი მკვლელები და პროვოკატორები, ხოლო აფხაზეთის ტერიტორია სისხლიანი აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი კობახიას განსასჯელის სკამის ნაცვლად სესიის ტრიბუნაზე მოგვედინა ერთ-ერთ ორატორად. სესიაზე არ მიეცა შეფასება ქვემო ქართლის და ჯავახეთის რეგიონებში მომხდარ ინციდენტებს, არ აღინიშნა, რომ მარნეულში კვლავ გრძელდება ანტიქართული საკადრო პოლიტიკა, რომ ხელისუფლება ფაქტიურად ხელში აიღო საქართველოს მტერი აივან გასანოვმა, აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც კრძალავს ქართველების ჩანერვას, ყოველნაირად ზღუდავს და ავიწროებს მათ. მარნეულში გრძელდება მინების მიტაცება, უკანონო მშენებლობები, აღმოცენდა ახალი სოფლები, რომელნიც რუკაზეც კი არ არიან აღნიშნულნი, მთავრობა კი ნაყრუების გზას ადგას. მთავრობა იმასაც „ვერ ხედავს“, თუ რა ტემპებით მიმდინარეობს აზერბაიჯანელთა უკანონო მშენებლობები გარდაბანში, გაჩინში, ფონიჭალაში, ყარაჯალაში, იორმულანოში, კასპის და ქარელის რაიონებში. გარდაბნის რაიონის მდივანი ბოკერია, კასპის რაიონის მდივანი ჯავახიშვილი, ქარელის რაიონის მდივანი გილახინია, ახალციხის რაიონის მდივანი შანიძე, ცხინვალის საოლქო კომიტეტი ყოველნაირად უწყობენ ხელს არაქართულ მოსახლეობას საქართველოს მიწის უსისხლოდ დაპყრობაში; რაიონის მდივანი ჩლაიძე ყოველნაირად ებრძვის ეროვნულ მოძრაობას ამბროლაურის რაიონში, დუშეთის რაიონის მდივანი ოდიშვილი ავიწროებს ოპოზიციონერთა ოჯახებს.

სესიაზე არაფერი თქმულა იმის შესახებ, რომ გ. ემირ-

# კრონიკა

კრონიკა. 7 ნოემბერს მიიღო თავს დაეხსა მოლაგების სახალხო ფრონტის წევრებს, რომლებმაც ხელი შეუშალეს სამხედრო აღმშენებლის ჩატარებას. ამის საპასუხოდ, 10 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან, სახალხო ფრონტის წევრთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა დაგმო 7 ნოემბერს დემონსტრაციის დროს მიიღო უკანონო მოქმედება. აქციის მონაწილენი დააკავეს. მალე სამინისტროს შენობასთან თავი მოიყარა რამდენიმე ათეულმა დემონსტრანტმა, რომლებმაც დაკავებულითა გათავისუფლება მოითხოვეს. ამ მოვლიდან აქციას ხელისუფლებამ სასტიკი დარბევით უპასუხა.

როგორც აღმოჩნდა, სამინისტროს შენობაში იმყოფებოდნენ ხელკეტებით, ფარებითა და ცრემლხანძარი გასხვები შეიარაღებულ-

იძე და ე. წ. „აჭარის ხსენი“ კომიტეტის წევრები: ისმეთ დიასამიძე, აზიზ ახვლედიანი და სხვები იმყოფებიან ოზგანთან ალიანსში და აჭარაში ამზადებენ ახალ ეთნოკონფლიქტს, კუთხური შუღლის გაღვივების გზით.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელობაში კვლავაც მოკალათებული არიან ანტიქართველები: კაბულაძე, ლაბაძე, კაპაძე, ანჭავაძე და სხვანი. „ადამონ ნისასის“ „დედა“ კაბულაძე თქვენი სესიის ავანგარდში ზის, ხოლო ტელევიზია ყოველ წუთს დიდის სიამაყით უჩვენებს მას მსხვილი პლანით. აქედანაც ჩანს, თუ რამდენად ეროვნულია დღევანდელი საქართველოს ხელმძღვანელობა.

სესიაზე არ მიეცა სათანადო შეფასება 9 აპრილის გენოციდს, ხოლო მუხლი გენოციდის შესახებ ამოღებულ იქნა კომისიის დასკვნიდან, როგორც ჩანს „ზევიდან“ დანოლის შედეგად.

სესიაზე სათანადოდ არ იქნა დაგმოილი ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ, ბუნების ბარბაროსული განადგურება, რადიაციით მონამვლა საქართველოს ტერიტორიისა, სამხედრო მშენებლობათა უზომო მასშტაბები, მიწების მიტაცება სამხედრო უწყების მიერ, ქართული კულტურის ძეგლთა განადგურება სამხედრო მანევრებით, ნეკლასცავეთით, სხვაგვარი ბარბაროსობით. არ იქნა დაგმოილი დანაშაულებათა რუსიფიკაცია, ქართული საბჭოთა მანქანების ქარხნის უქონლობა, რუსული სკოლების ქსელის ზრდა, განათლების სისტემის მანკიერებანი, კორუფცია უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ძირითადი მიზეზია საქართველოდან ქართული მოსახლეობის მიგრაციისა. არ ითქვა, რომ დასახურია „საქსომმშენი“, „საქტიუმშენი“ და სხვა მსგავსი ორგანიზაციები, ვინაიდან თავად საქართველოში ჩავარდნილია მშენებლობის საქმე. არ იქნა განხილული კიდევ მრავალი სხვა საგანგაშო მოვლენა, რომელთათვის ვერდის ავლაც დაუშვებელია. ამრიგად, ნათელია, რომ საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა და კომპარტია, მიუხედავად ცალკეული ეროვნული პრობლემების მოგვარების ცდებიდან და თეორიული ხასიათის დეკლარაციებისა, კვლავ ხელს უწყობს კრემლის ანტიქართულ პოლიტიკას საქართველოში.

გთხოვთ, წაიკითხოთ საჯაროდ სესიაზე.

**ზვიად გამსახურდია**  
1989 წ. 18 ნოემბერი

\* სამხედრო ბეგარასთან ერთად საქართველოს ანადგურებს სამხედრო ბეგარა, მაგ. საქართველო აშენებს ობიექტებს სლავეტიში, მოსკოვში აშენებს მეტროს ორ სადგურს და სხვა (ზ. გ.).

დამატებით ჩაფრინდა 11 ხატარასპორტო თვითმფრინავი, რომელშიც შეიზარა ჩარების 2 ათასამდე ჩარისკაცი იმყოფებოდა. ქალაქში მიღებულია სავანგებო ზომები, აკრძალულია მიტინგები და დემონსტრაციები. მოლაგების სახალხო ფრონტმა 12 ნოემბერს განცხადებით მიმართა მოლაგებელ ხალხს. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: „ხელისუფლებამ ამოწურა ყველა პოლიტიკური არგუმენტი, მას დარჩა მხოლოდ ხელკეტები, გაზები, ტანკები“.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გაშუქებისას შევიცდებით შეძლებისდაგვარად ავსახთ, როგორც სომხეთის ასევე აზერბაიჯანის ეროვნული მოძრაობის და მოსახლეობის პოზიციები.

**სტამბაბაძე**. მთიანი ყარაბაღის ეროვნული საბჭოს წევრთა ე. ვალსტანმა განაცხადა: „ჩაღრე ვაწყობთებს ის ვარკობება, რომ აზერბაიჯანი ხარკებ-

აბლოებით იგივეს, რასაც დღეს ყოველი ჩვენთვის უფრო სწორედ თქვენთვისაა ლაპარაკობს, დღეს ე. წ. „გარდაქმნის“ ეპოქაში, რატომ უნდა შეჩერდეთ აზერბაიჯანული და ცილისწამება ვიღაც ვიგინდარებს. ჩემთვის ცნობილია, რომ ეს გაზეთი ვრცელდება ამიერკავკასიის გარეთ, თითქმის მთელს საბჭოთა კავშირში ჯარის ნაწილებში და ბუნებრივია, მტრულად განწყობს რუს ჯარისკაცებს ქართველებსადმი, რის გამოც ხდება ის, რაც ხდება. დღე არ გავა, რომ „ცინკის“ კუბო არ ჩამოასვენონ დაუფორმებელი და ამაყი ქართველი ჯაბუკისა. სიტყვამ მთიანადა ვიტყვი: ქართველმა მშობლებმა ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს და ცხვირებით თავდალუნუნონ ავანტიან თავიანთ შეილებს სასაკლაოზე. ბოლოსდაბოლოს, განა შეიძლება ქართველმა კაცმა იმსახუროს იმ ჯარში, რომელმაც 9 აპრილის სისხლიანი დანაშაული ჩაიდინა? ტოტალურად უნდა ვთქვათ უარი მკვლელების არმიაში სამსახურზე. უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ოკუპირებული ქვეყნის მოქალაქეებს უფლება აქვთ, უარი სთქვან საოკუპაციო ჯარში სამსახურზე. რაც შეეხება იმას, რომ საქართველო ოკუპირებულია და ანექსირებული ქვეყანაა 1921 წლის 26 თებერვლიდან, ამის შესახებ დღევანდელმა სესიამ უკვე მიიღო სათანადო რე-

ზოლუცია, რისთვისაც დიდ ფილმებს გამოვთქვამ.

პატრიცეპული დეპუტატმა ამ რეზოლუციის მიღებით ჩამოიშორეთ ის ლაქა, რომელიც დაგედოთ იმის გამო, რომ ალუდუკით წინ და ვერ აღგვე 9 აპრილის საშინელი სტიქელეტა. გთხოვთ მამატიოთ უფროსობა და უკეთესი პირობა, მაგრამ ვფიქრობ, სწორი უნდა თქმულიყო.

საბარებაში სწერია: „ეცრუ წინასწარმეტყველო, წინ მოვიდინ თქვენდა სკოლითა ცხოვარისათა, შინა კი იყვნენ მგელ მტაცებელნი ვისურვებთ, თქვენი ეს წული განწყობილება, რაც ყველა თქვენგანში აშკარად ნდება, ყოფილიყოს ალაღვე ქვემარტივ, რათა მოხდეს სკოლი ერის სრული კონსოლიცია, ფორმალის თუ არაფრის, ოფიციალის თუ არაფრის, გულის ურ იტერქტივის, გულის თუ მეციციტის თიანი ძალით გვეწიოს ქაანის ვისუფლებისა და დამოუკიდებლობის წმინდა ტაძრისაკენ ვალ ეკლიან გზაზე.“

**ავთანდილ იმნაძე**  
საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს ლევიზიის რევიზორი.

# მოქალაქენი

1989 წლის 28 ნოემბერს, დღის 8 საათზე, ჩაბლოს ანუ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონის ცხინვალის ცენტრში ავტონომიური რეგიონის მოსახლეობის ინიციატივით გაიმართდა ნეტიკრებული მიტინგი, რომლის ძირითადი თემები

1. საქართველოს ეროვნული პრობლემების ნამედროვე ეტაპზე.
  2. რეფერენდუმი.
  3. ეროვნებათა შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის საკითხები.
  4. ქართული მოსახლეობის ეროვნული და მთავარი უფლებების დაცვა ისტორიული საზღვრების მიწა-წყალზე.
- ამ დღეს ცხინვალისაკენ დაიძრა მთელი საქართველო.
- მიტინგში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური პარტიები და ოპოზიციონერი.
- შეკრება დაიწება დღის 9 საათიდან ხორსასახლესთან და კინოს სახლთან, მობილიზებული იქნება ტრანსპორტი.
- ყველანი ცხინვალისაკენ ჩვენთან არს ღმერთი! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

წმ. ილია მართლის საზოგადოების, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, საქართველოს ლევიზიის კავშირის სახელით:

**ზვიად გამსახურდია**  
ირაკლი წარმომადგენელი  
ირაკლი ბატიანი

მოსკოვში. აქ შეიკრება დამატებითი კონფლიქტის კანონით და მთიანი ყარაბაღში ახალგაზრდა აზრის მქონე ახალგაზრდა ლტოლვილი „თურქ-მესხები“. ამ ღონისძიების მიზანია სომხეთის მოსახლეობის ახიმილიცია, ოლქში იქმნება პიროვნული იმისათვის, რომ სომხებმა დატოვონ ყარაბაღი.“

ბაქო. აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ლიდერმა ე. მამედოვმა თქვა: „დარწმუნებული ვარ, რომ წინსვლითი ყარაბაღში მალე დამყარდება, ის ვინც ცხოვრობს აზერბაიჯანში და არ სურს თავისი ბედით აზერბაიჯანელი ხალხის მომავალს დაუკავშიროს, იძულებული იქნება დასტროვოს აზერბაიჯანი. საერთოდ, თვით მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის არსებობა აბსურდულია. ეს არ არის სომხური ოლქი, ეს მხოლოდ ტერიტორიული წარმონაქმნია. აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის მთავრობის ავტონომიური ოლქის გაუქმებას. ჩვენ არ ვცნობთ ყარაბაღის ეროვნულ საბჭოს, რომელიც უკანონოდ არის შექმნილი“.

მოსკოვში. აქ შეიკრება დამატებითი კონფლიქტის კანონით და მთიანი ყარაბაღში ახალგაზრდა აზრის მქონე ახალგაზრდა ლტოლვილი „თურქ-მესხები“.



# საპროტესტო აქციები პოპული საპარტოელო მოძრაობის მიერ

და იხვევრდებოდა ქართველების ტანჯვა-წამებას. მათი საპროტესტო აქციები ქართველებს უარს აცხადებდა. ყველას ვაღიარებ, მხარს დავუჭირებ ამ აქციებს. ახლა კი ვაპირებ ჩემი ძალისხმევით და მშობლის სხვადასხვა დაწერით წერილებსა და საუბრებს, უცვლელად, სტილისტურად.

სამმა ოფიცერმა დამბა ქაიხოსრო და ეკლანი მავთულით, რისი ნასახე-ბიც ახლაც მატყვია. მერე კი მცემეს. შემდეგ ხელფეხებზე ჩამსვეს გაუბანტბა. სამი დღე-ღამე მივთვებდნენ "ლასტოქას", მერე ჩამადგეს ქლორში ორი საათი. ხელეების გახსნის შემდეგ, ცინი-დან ცულად ვიყავი და თავს ვგრძობდი შეუძლოდ. ხელფეხი და ბეჭი დასიებული მქონდა. მოვი-ხოვე სამედიცინო პოსპიტალში მოთავსება. წამოიყვანეს ჩემი ოფიცრებმა და ექიმს უთხრეს, რომ არაფერი არ მიპირდა და მორალურ შეურაცხყოფაზე ვადმოვიდნენ. პოსპიტალში არ მომთავსეს და გავაგრძელე სამსახური. (მ. ბ.).

მე მდგომარეობაში ვარ და სასწრაფოდ ჩამოდით. ჩემს შვილს აწუხებს მარჯვენა ხელი, რომელზედაც ორჯერ აქვს გაკეთებული ზურგისა, ფიფქურა ზედა შუა-წუხა და ამიტომ არის ასეთი ამბავი. შევეცადე ამელო ბილეთი თვით-მგობინაზე და წავსულიყავი ვერ-თან, მაგრამ ამოდ. ბილეთი გვი-ეიშოვე. ამ დროის მსვლელობაში მოვიდა ნაწილის მეთაურისაგან დე-პუტა, რომ ჩემ შვილს და მის ორ ამხანაგს იმდენად გასჭირვებიათ, მიუტრევიანთ ნაწილი და გამოპარ-ულან. სინამდვილეში შვილის დე-პუტის გამოგზავნის მიზეზი ის ყო-ფილა, რომ ცემის შედეგად გას-ლანთა ნაწილი და ძლივს გადარ-ჩინლა. წარმოიდგინეთ, როგორი მგზავრობა ექნებოდათ მათ. რო-გორც იქნა ჩამოაღწიეს თბილისი-დან 18 ივლისს და ჩამარბა თბი-ლისის რუსთაშენილოვს კომისარ-იატს, გენერალ-ლეიტენანტ შარაშე-ნიძეს. მოუყვა, თუ რა მდგომარე-ობაში იყო იქ სულ ერთი თვის განმავლობაში. თან არ აქვს მიღე-ბული ფიცი. გენერალმა შეხედა რა მდგომარეობაში, უთხრა, შენს სა-ბუთებს გამოვითხოვ უკან და ნოემბრის ახალ ნაბორზე წავიყ-ვანთ. ასე დამიდებულად დავბრე-დნით შინ. მაგრამ ამოდ, ამის შე-მდეგ, 25 აგვისტომდე არაფერ გამო-ჩინლა ჩვენთან. ხოლო 25-ში კი მოაკითხა უბნის რწმუნებულმა მა-ნუკიანმა, წავიდეთ კომისარიატში და კომისარიატის ნაცვლად საშე-დრო პროკურატურაში ჩააბარა, სა-იდანაც იმავე წუთში ჩასვეს გაუ-ბანტბა.

ბილეთი თავისუფალი საქართველო-სთვის. წინააღმდეგობის გაწევა ან ხელის შეშლენება უკვე სიკვდილს ნიშნავდა, რაც 4 ქართველ ჯარის-კაცს მოუხდა ჩემს ოქ ყოფნაში. ჯარისკაცებს კი გვეცხადებდნენ, უბედურმა შემთხვევებმა იმსხვერ-პლესო.

იყო ფულის გამოძალვის შემთ-ხვევები, თუ ფულს მივცემდით. შედარებით პრივილეგიები გვექონ-და, დავაღვლეინებდნენ წყალს. მო-გვაწვივებდნენ სიგარეტს, მოგვეცე-მდნენ ჩამოჯდომის უფლებას, თუ არა და გვეცემდნენ გონების და-კარგვამდე ვინც უძლებდა ცემ-ას, ტულაზე. თან აყოფინებდ-ნენ უნეტანში. ყოველივე ეს მე და ჩემს ამხანაგს გადაგვხდა. მან გა-უძლო ცემას ე. ი. გონება არ და-უკარგავს და ძალით შეათრის სა-პროტესტოში და უნეტანში რამ-დენჯერმე ჩაყოფინებს თავი. მე კი ცემის დროს აზრი დავკარგე, სწი-თქვა შემეკრა და უზაროდ დავარ-დი. შემდინდით არ მოკვდით და თავი დამანებეთ. იქვე ტულაში მონარეცხი წყალი იდგა და იმით მომასულიერეს. მომიყვანეს გონზე. კომენდატურაში ცემის დროს სა-ხეზე არ ურტყამენ, ნიშანი არ და-რჩეს. მაგრამ მე შემთხვევით ნი-კაში მომხვდა სკამის ფეხი, გა-მისკდა ნიკაში, სისხლი რომ დაი-ნახებ, მერე და მანებეს თავი.

**მოგახსენებთ, რომ ა. წ. მისში** სამხედრო-სამსახურში გაწვეული იყო იოსებ (სოსო) ომიძე, ყაზა-ხეთში, ქ. ბაღდათში.

14 ივნისს ომიძე იქნა ნაცემი პოლკბელმძღვანელისაგან, მეორე რაოდენს ლეიტენანტ ანსევეისაგან, ეროვნული უფროსი მიხნა, რე-ზინის ხელ-კეტი, რის შედეგად-აც ბავშვის ნერვული სისტემა იყო დაზარებული, რადგან დარტყმა ხდე-ბოდა თავის არეში. ომიძე იქნა მოთავსებული პოსპიტალში, ფსიქი-ატრიულ განყოფილებაში.

ბავშვის შესახებ ყოველგვარი ინფორმაცია გაწყდა 2 თვის მან-ძილზე. მომბღბისაგან გავხანოლ-იქნა 5 დღეში სამხედრო ნაწილ-ში, რათა შეეტყობინებინათ ომი-ძის განმარტოების შესახებ. პა-სუხის მოწერა არც უცდიათ მის ოფიცრობასა თუ ხელმძღვანელო-ბას. ანერვილებული მშობლები, შვილის ამის გასაგებად, ადგილზე ჩასულები უფროსი პოდპოლკოვნი-კისაგან ხილვესკისაგან ირკვევენ, რომ ომიძე ფსიქიატრიულ გან-ყოფილებაში წევს პოსპიტალში. ხილვესკი ადასტურებს, რომ ომი-ძის შესახებ არაფერი არ იცო-და, რადგან ამ დროს იგი იმყო-ფებოდა შეებულებაში. ხილვესკი ომიძის უშუალო უფროსია; ხო-ლო როდესაც ვიკითხეთ ანსევეი, გვიბასუხეს, რომ იმყოფება კამან-დირიკაში.

საქსიტოს თვეში ომიძე იქნა გაკომისიავებული. ქართველი ახ-ალგაზრდა, 18 წლის ბიჭი, გამზრ-დეულ დედას დაუბრუნდა ცხოვერ-ბის ინვალიდი, ომის გამო რომ იგი ქართველია. დიან, მიზეზი მხო-ლოდ და მხოლოდ ესაა. ვერა ცნობს მშობლებს, ძმას.

გთხოვთ, გამოყენებული იქნას მკაცრი ზომები. დამნაშავე იქნას დასჯილი.

**ამჟამად ომიძე იოსებ (სოსო)** აგრძელებს მკურნალობას ქ. თბი-ლისში, ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მე-ორე განყოფილებაში.

**3. ტაბატაძე**  
4 აგვისტო, 1989 წ.

მოგახსენებთ, რომ 1989 წლის 18 მაისს გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო რიგებში. მოგხვდი ყაზა-ხეთის რესპუბლიკაში, კხილ-ორ-დინის ოლქში, ქ. ლენინსკ-3-ში.

**3. ტაბატაძე**  
4 აგვისტო, 1989 წ.

ნაწილში მისვლის პირველი დღე-დან ქართველებს ძალიან ცუდად შეგვხვდნენ ოფიცრები, რაც გამო-ინახებდა შემდეგში: ყველა წვრილ-მანზე გვედავებოდნენ, ემბდნენ მიზეზებს დასაწყვლად ფიცი დიდი ხნის დაგვიანებით მიგვადებინეს სხელებთან შედარებით. ფიცის მიღე-ბამდე ყვავდით ძალიან სიმკაცრე-ში. შეგვყრიდნენ ლენინის ოთახ-ში მშვიდ-შეუტრეავლებს და გვაძა-ლებდნენ გვესწავლა სამხედრო კა-ნონები ზეპირად. იყო შემთხვევე-ბი, დამაყენეს სკამზე უსტრავით ხე-ლში, რომელიც გრძელდებოდა იქ-ამდე, სანამ ადამიანი არ გახდებო-და უძლურ-უგონოდ და არ ჩამო-ეარდებოდა სკამიდან, რის შემდეგ მივყავდით საპროტესტოში რამ-დენიმე ოფიცრის თანხლებით, რა-თა ცემით გავგეწმინდა ტულატი. გინდ სუფთა ყოფილიყო: უარყო-ფის შემთხვევაში დამით ავიცილებ-დნენ მთელ როტას ამშკრივებდ-ნენ და უცხადებდნენ, რომ ისინი ისჯებოდნენ ჩვენს გამო, რითაც შურსა და ღვაქლს თესავდნენ ჩვენსა და სხვა ეროვნებების ჯა-რისკაცებს შორის, იველიან, ფი-ცის სიძლიერის შემდეგ, როცა გვექ-ნიბოდა სამუშაოდ გასვლის უფ-ლება, გვეშველებოდა, მაგრამ იმე-დობი გავგიცრუდა. ყოველ წვრილ-მანზე - გვესჯდნენ, როგორც ჯი-ურტ ქართველებს, გვაგზავნიდნენ კომენდატურაში დასასჯელად. 3 დღე-ღამის განმავლობაში გვეცმე-დნენ, როგორც ოფიცრები, ისე ჯა-რისკაცები თან კომენტარებით:

მოგახსენებთ, რომ სავალდებულო-სამხედრო სამსახურს ვინდობ გერ-მანიაში, ქალაქ ვისმარის გარნიზო-ნში. საქართველოში ჩამოვედი 4 სექტემბერს, როგორც უნივერსი-ტეტის სტუდენტი.

**3. ტაბატაძე**  
4 აგვისტო, 1989 წ.

ჩემთან მასხვობდა სამტრედი-ელი ვაზუნა ნუგზარი, მისის და-საწყისში მას თავისი როტის "კა-მანდორთან" მოუხდა ჩხუბი ნაცი-ონალურ ნიადაგზე (ერთდროულად აღვნიშნავ, რომ სრულიად გა-რინიზონში, აშკარად იგრძობოდა ანტიქართული განწყობილება).

**3. ტაბატაძე**  
4 აგვისტო, 1989 წ.

როტის უფროსმა იგი შეიყვანა იარაღის შესანახად ოთახში და კა-რები ჩივიდა, რითაც თავიდან აი-რება სხვა ბიჭების საქმეში ჩარე-ვა. ისარგებლა რა იმით, რომ ფი-ნიკურად იგი ნუგზარზე გაცილე-ბით ძლიერი აღმოჩნდა, წააქცია და ჯარისკაცთა ქაზრით დაუწყო ცემა, თანაც დაბირდა, რომ არ შე-ჩერდებოდა, ვიდრე ბალთა თავი-სით არ მოძვრებოდა ტყავს.

რაც იყო საჭირო, გადაგზავნეს მთავარი პოსპიტალში.

**3. ტაბატაძე**  
4 აგვისტო, 1989 წ.

ერთი თვის წინ ნუგზარი გამო-უქანმრთელებლად დააბრუნეს პო-ლკში. ექიმთა კომისიამ იგი სამ-ხედრო სამსახურისათვის გამოუ-სადგარად ცნო. ერთდროულად აუ-ხსნეს, რომ ისინი ვერ ბედადნენ იმდენად ზოფული ოპერაციის გა-კეთებას, რომელიც ნუგზარის გა-მოქანმრთელებას სჭირდება და სა-ჭიროა, რომ დაბრუნებისთანავე კომისიის თბილისს ან მოსკოვის საუკეთესო ქირურგებს.

**3. ტაბატაძე**  
4 აგვისტო, 1989 წ.

თავდაპირველად თითქოს ყვე-ლაფერი ნორმალურად მიდოდა. იგი ჩვენთან ერთად გამოგზავნეს სამშობლოში დასაბრუნებლად, მა-გრამ ბოლო მომენტში უკანვე და-აბრუნეს იმ მოტივით, რომ რისკის გამო, გულით ავადმყოფს, უფრო-სის (ოფიცრის) გარეშე ვერ გამო-ავგზავნიდნენ.

**3. ტაბატაძე**  
4 აგვისტო, 1989 წ.

ახლა მსურს მოგახსენოთ ჩემი მღვდლების მიზეზი. ჩემი პო-ლიტის სანიტარულ ნაწილში იმყო-ფებოდა მოლაველი ბიჭი, რომელსაც უკვე 1 წელია სამხედრო სა-მსახურისათვის გამოუსადეგარად ჩათვალეს და სამშობლოში ვერ ბრუნდება იმავე მოტივით, რა მო-ტივითაც ნუგზარს უთხრეს უარო-ბი იმ აბსურდულ უფროსს "უფროსს" ელოდება. მაგრამ თუ მიხი ჩანმრთ-ვლობის მდგომარეობა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელია, საეჭვოა ნუგზარმა 2-3 თვე გასძლოს უოპე-რაციოდ. ასე რომ, თხოვნა, ყვე-ლა ღონე ინმართ ამ ქართველი ბიჭის დროულად დასაბრუნებლად.

**10 ნოემბერს** გამიწ-ვანებული სამსახურში და

გამიწვიეს სამსახურში და

**10 ნოემბერს** გამიწ-ვანებული სამსახურში და

გამიწვიეს სამსახურში და

გამიწვიეს სამსახურში და

**10 ნოემბერს** გამიწ-ვანებული სამსახურში და

**10 ნოემბერს** გამიწ-ვანებული სამსახურში და

გამიწვიეს სამსახურში და

**10 ნოემბერს** გამიწ-ვანებული სამსახურში და

**10 ნოემბერს** გამიწ-ვანებული სამსახურში და

გამიწვიეს სამსახურში და

## საბჭოური ტაქტიკა

ყო, რომ ეწოდან დამიძახეს. დედაჩემმა გახედა და სტუ-რები ხანში მოიწვია. შემოვიდა ოთხი ანაღვარდა მანაკაცო. რო-დესაც შემოვიდნენ და კარში მო-ხსურეს, ერთ-ერთი მთავანის ხელ-ში დავიანებ პისტოლეტი. დამიწვე-ხენ, თუ არ დაგტოვებდი ავტობატრა-ნსპორტო სისტემას, დედაჩემს თავს მოკრიდნენ და თქვენი დამიდებ-დნენ. ადვილი წარმოხადებია, რა დავმართებოდა ჩემს ავადმყოფ დე-დას... იმ დღის შემდეგ უფრო გე-ვაქტიურებ ბრძოლს, რომელიც ალექსანდრე გლუჩკოის მინისტრ-ობის დროსაც გავრძელობდა. თუმცა, ალექსანდრე გლუჩკოის პარვის შე-ხსენება არ ჭირდება, თუ რა იყო

## საბჭოური ტაქტიკა


საკუთრებელი, იქცეოდა იხე, როგ-ორც მოქცეოდა მის ადგილზე მყოფი პეულ ნაღდი ქართველი. მა-გრამ პეულ ალექსანდრე გლუჩკოის დედას...

## საბჭოური ტაქტიკა

აღამიანს ამის შესახებ 4 ნოემბრის "მოლოდიოე გრუზი"-ში დაიბეჭ-და საუბარი ტარიელ კანაძისთან. 4 ნოემბერსვე ხალხის მინისტრად ხასწრაფოდ დანიშნეს ხარალიძე. დარბაზში, რომ თითქოს დარჯა-ნიამ მოიხივდა კანაძე, და ამიტ-ომაც აუენებდა მის კანდიდატურას.

## საბჭოური ტაქტიკა

წირება დაიწყო. მოვუბაძე სიჩქა-რეს, რათა გავცეოდი. მაგრამ ამა-ოდ. ამ მდგომარეობაში საბჭოელო-საბჭოელო შევედით. იქ ერთ ადგილზე ავტობატრალე უხვებს მარცხ-ნივ, ხოლო მეორე ვაა შედის ხო-ფლის სიღრმეში, სწორედ ამ მეორე ვააზე შემაგლო მდევარმა და ვაა ჩამიყრა. მანქანა მომიცურდა და არბი აღმოჩნდა, ბეტონის გა-დახასხვებულ შევიქაზე. მანქანა იქ-ნებოდა ან იმ, ან იმ მარცხს ეიფუ-ლო. მთელს სოფელში არაფერ გამო-სულა დასახმარებლად, გარდა მალ-ხან არაბულია, რომელიც არხიდან მანქანის ხმოვანებაში მომჩვენდა. მთელი ეს დღევა მიმდინარეობდა პისტოლეტის აკომანანმენტის ქვეშ...



**აღნიშნული** სტატია და 1978 წ. მოხსენებითი ბარათი საქ. კ. ცეკაში მოსახლეობის გასაზრდევად, სახელმწიფო გეგმის შესრულების მიზნით მეწველი ძროხების დატყევის ფაქტი, რაიონში გახდა მიზეზი ჩვენი ოჯახების აგრესიული დევნა-შევიწროვებისა. საქ. კ. ცეკადან სრული უყურადღებობის გამო იძულებული შევიქმენი დახმარებითი მიმართვა საკავშირო ინსტიტუტისათვის: 1975 წ. ორჯერ გახეთ „პრაქტიკა“, 1976 წ. 46 გვერდიანი მოხსენებითი ბარათით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ანხ. ბრეჟნევს, 1978 წ. 52 გვ. მოხს. ბარათით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ანხ. ბრეჟნევს. მე და დედა მთელი 12 დღე დავეყავით ქ. მოსკოვში 1978 წ. ივლისში, მაგრამ ისეთი ძაღვით მოქმედებდნენ, რომ ვერ შევძელით ანხ. ბრეჟნევის ხახვა.

პასუხს ადგილზე მიიღებთ, გაგვიცხადო ცეკას სოფლის მეურნეობის — განყოფილების გამგემ შერბადაცოცხდა... არავითარი.

ქიდან გამოგზავნისას, თვით თვითმფრინავი საქართველოს უშიშროების ხალხით ავიღო, საქ. კ. ცეკის მდივანს ედ. შვარცბახის ძმებთან იქ იმყოფებოდნენ, რომელიც მხედველობის არეშიც ჩვენ, დედაძეილი ვიყავით მოქცეული. ოჯახში სამი უმუშევარი ვიყავით. ჩემი მოამაგე დედა ტყის ხილს კრეფდა, რომ ფიზიკური არსებობა შეგვეზარჩუნებინა.

...შეშითაც შეგებულდეს. დედას კომუნალურ მომსახურებაზე — შეშით მომარაგებაზე — უარი უთხრეს... ნავთქურით „ვაბობობით“ ოთახს. ამის გამო ნავთით რაიონის მომარაგებაც შეზღუდეს. ჩვენს გამო ზშირად ნავთის წერტილი უფრობით, 3-4 თვე, გამოკეტული იყო. ჩვენი გულისათვის მთელი რაიონის მოსახლეობა მოწყვეტილი იყო ნავთის მიწოდებას.

ყინვა ათასფერად ხატავდა სარკელებს... მიემარტავდით რაიკომს, რაიკომს, განცხადებებზეც არ გვპასუხობდნენ. მოსახლეობა დაამიანის, ფართო ავტაცია გასწიეს ჩვენზე. ის ვინც გაუწყვედა ჩვენს ოჯახს დახმარებას, ხელს გაუმართავდა სამშობლოს მოღალატეებს.

მრავალჯერ სცადეს შეედინათ პოლიტიკური დღისი ჩვენი ოჯახის ყველა წევრზე, მაგრამ იმდენად მაღალი ავტორიტეტი ესარგებლებოდა ხალხში, რომ ვერ შესძლეს.

რაიონის პროკურორმა მამუჩაშვილმა რედაქციიდან მოიპარა ჩემი ხელნაწერი პროვოკაციული საბუთების შესაქმენლად, მაგრამ ვერ შესძლო.

სხვადასხვა საკომპიუტერული ორგანოებში დამნაშავე პირის ნარგობა აბდულაევ-პაპაიურის გამოყენებით, ყალბი აქტებით აღძრული საქმე არც ერთ ორგანოში არ დადასტურებულა — დუშეთის რაიონილიცა, რაიონპროკურატურა, ყაზბეგის საგამომძიებლო ორგანოებზე, თიანეთის პროკურატურა.

1981 წლის 1 სექტემბერს კი ასეთი ბარბაროსული აქტი განახორციელეს: თიანეთის პროკურორმა თავი ასე გაგვიცნო, ანხ. ჯამაყიძემ, შინაგან საქმეთა სამინისტროს 7 პასუხმდებელი პირი თვითნებურად შემოიჭრნენ ბინაში, ხელი როს რეზონანს ვერტებდით, ხელი გვტაცეს ჩაუტყველ დედა-შვილს და უსმელ-უძმელები გავგვყენეს გზას...

17 საფეხურიანი კიბეზე თრევით ჩაგვიყვანეს და მილიციის პერმეტულად დახურულ მანქანაში შეგვყარეს... მანქანა ცხვირის დრემლით იყო სავსე... ჩვენც საქონელივით შწოლარე მდგომარეობაში მიგვათრევდნენ.

ხალხი ტირილით, დედა ტირილით გამოვიდა მანქანას. მილიციის პატ. მუშაკებმა ფეხები შემოაწყვეს რაიონის ბაღთან სარკელებს და პაპიროსის კვამლს კამერაში უშვებდნენ, ცხვირწინ გვიბოლებდნენ: „მორჩი, თქვენ ვიღარ ეღიროებით საქართველოს ხალხს, კამჩატკაზე გადაგასახლებენ...“

დედის ტირილზე გამოწყვედა იცინოდნენ: „რა კარგი მომღერალია...“ დიდი წვრთვა-რუყვის შემდეგ (ასეთ მანქანებს ხელის მოსაკლდი არა აქვს) მოგვიყვანეს თბილისში, საბურთალოს ფსიქიატრიულ კვლევით ინსტიტუტში.

ექსპერტ ექიმთან გაირკვა, რომ თიანეთის პროკურორის არავითარი სანქცია არ გააჩნდა ბინაში შემოჭრისა და დაპატიმრებისა. ანხ. ჯამაყიძის დასაწახი იხ. №2.

მაკიძემ განუმარტა: „მაგათი საქითის შესწავლა დუშეთში აღძრულ საჩივარზე დუშეთის რაიონილიციიდან მე გადომომგზავნა, მე დამაწერა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ბრძანებაც დაპატიმრებისა. შინაგან საქმეთა სამინისტროდან იქნა გაცემული ტელეფონით...“

როცა ექსპერტმა გაიგო რაში იყო საქმე, ვინ გვდევნიდა და რისი გულისთვის, უარი განუცხადა გარს შემოხვეულ მილიციას და პროკურატურის წარმომადგენლებს: „თქვენ ამის უფლება არა უკონდათ, ამაზე პასუხი მოგვთხოვებოთ, იცოდეთ, შე ერთ სიტყვასაც არ დავწერ... უკან დააბრუნეთ ეს ხალხი“.

ამის შემდეგ იგივე მანქანა, კახეთის გზატკეცილს გაუყენეს, ისეთი ძალით ახვრდებოდნენ, რომ პაერში ვხტებოდით ერთმანეთს ჩაკრული დედაშვილი. ისეთი გადაღლილი-დაქანცულები ვიყავით, თუნდაც საგიეთში მივეყვანეთ, თანახმა ვიყავით. უპაერობისაგან სუნთქვაც გვიჭირდა, ყველაფერი გვტკიოდა მანქანის წვრთვისაგან. სწრაფად მივყავდით მანქანა.

შემდეგ საღაღც შეაჩერეს და გადავიდნენ საზამთროს ნათესებში. დიდხანს თათბობდნენ. ეტყობა რაკით ვილატას დაუკავშირდნენ და მანქანა მოაბრუნეს. „აბა ცოცხლები ხართ თუ მკვდრები“ — უტიფრად ჩაიცინეს. თბილისში დატოვეს პროკურორი.

დუშეთი ვეღარ ვიცანით, იმდენად ვიყავით გაწამებული, დედაც უცლად შეიქმნა. ხალხი ალულებული იყო რაიონის ხელმძღვანელების ასეთი ბოროტობებზე. რა უფლება ჰქონდა თიანეთის პროკურორს, ემოქმედა სხვა რაიონის ტერიტორიაზე, თუ რაიონული ხელმძღვანელობისა და საგამომძიებლო ორგანოების ნებართვა არ იყო ზევიდან.

როგორც შემდეგ გაირკვა, იგი შეთანხმებული იყო დუშეთის რაიონის მდივან კერესელიძესა და რაიკომსკომის თავრე გ. წიკლაურთან (დაახ. ჩვენ შეგვითანხმდნენ ზევიდან, ოღონდ მე ისიც ვუთხარი, შეურაცხყოფა არ მიაყენოთ ოჯახს, ისე იმოქმედეთ-მეთქი).

მთელი დღეები და ღამეები ტირილში ვათენებდით, მწვავე იყო შეურაცხყოფა, ასე გვეგონა ქურდობაზე წაგვასწრეს და სირცხვილით გარეთ არ გამოვდიოდით, ხალხს ვერიდებოდით...

1982 წლის 1 ივნისს თითქმის ყოველწლიურად რამდენჯერმე დედამ საქიონის გასარკვევად — რამ იყო გამოწვეული ოჯახის ასეთი მწვავე აგრესიული დევნა-შევიწროება, შეესწავლათ და პასუხი მოეცათ საქ. კ. ცეკა-სთან შეთანხმებით, სადაც ჩვენი მრავალჯერის განცხადებები ოჯახის აგრესიულ დევნაზე უყურადღებოდ რჩებოდა წლების მანძილზე — მიმართა რაიკომის მდივანს ანხ. კერესელიძეს (ანხ. კერესელიძე არის ჩემი საშუალო სკოლის ამხანაგიც...), ბოლოს და ბოლოს შეესწავლა, გაერკვია ჩვენი ოჯახური მდგომარეობა. რაიკომის მდივანმა ეტყობა ვილატას მოსამინინა საუბარი ფარული ხაზით. ცოტა ხანში საუბარი გაიმართა ვილატა პირაგნებასთან ტელეფონით ერთ-ერთი ოჯახის გასახლებებაზე. კერესელიძემ უარი უთხრა: საბჭოთა კონსტიტუციით ამის უფლება არა გვაქვს, როგორ, თუ კი დანაშაული არ დაუბტკიცეთ ოჯახს...

დედა რაიკომიდან არ მოსულ იყო, რომ მილიცია კარს მოგვადგა საპატირო მანქანით. ლაშობდნენ სახლში შემოჭრას (დევნის გამო ვეწვევით კარჩაკეტულ ცხოვრებას), ცეცხლმჭერი მეჭირა ხელში, ვინცობაა შემომძებრებდნენ კარს, გამოვიყენებდი. მილიციამ ვეღარ გაბედა კარის შემომტევა, მაგრამ ხელი სტაცეს რაიკომიდან მოსულ დედას, რომელსაც ელდა ეცა კარს მომდგარი მილიციის მუშაკებისა და შეკრებილი ხალხის გამო. „რა გინდათ შვილო, რისთვის მამატიმრებთ, გაქვთ ამის უფლება?“ ზევიდანაა ბრძანება. — იყო პასუხი.

ფაქტიურად მათ უნდოდათ ჩვენი ოჯახიდან ჩემი პრობლემაური ნარკვევის წართმევა, რომელზედაც რამდენიმე წელია ვმუშაობ.

ხალხი გამოგვიტყობდა: რა გინდათ ამ პატრონის ხალხსაგან, რისთვის აწიოკებთ, ხალხისათვის, რაიონისათვის სიკეთე უნდათ, ის მინც გაგვადგილებთ, ხალხს რისთვის აპატიმრებთ?

ხალხს შლიდნენ, ხალხი არ მილიცია... მილიციის მუშაკებს ის ის იყო დედა მანქანაში უნდა ჩავსვით, რომ გოგორდმეყავს ბოთლი ავიღე ხელში: თუ ხელს ახ-

ლებთ დედას ახლავ დავლევ გოგორდმეყავს ხსნარს... მილიციის მუშაკები დაიბნენ. მე მიემართე ფართო საზოგადოებას სარკელიდან და ხმადალა, გაბედულად ვთქვი ის სიტყვა, რაც... თვითულის გულში იყო, მაგრამ შიშის გამო ვერ ზედავდნენ თქმას... საქვეყნოდ, ამჟამად ზეპირი მიმართვით, ხალხს გადავებინე არჩილ და ვარლამ შაღურების დანაშაული, მათ მიერ რაიონის ძარცვა-გლეჯა... ხალხი მიდასტურებდა... მტერი არ იზამს იმას, რაც შაღურებმა დუშეთი ხალხს დამართეს, წყველებიც იყოს ეგვიცა და მითი მიმდევრებიც...

მეორე დღეს დახმარებისათვის მიემართეთ გზებ „კომუნისტის“ რედაქციის მოადგილეს ანხ. გ. ნაჭყვინძის, შემდეგ გ. ბედნიევიშვილს 200 გვ. პრობლემაური დოკუმენტალური ნარკვევით (ნარკვევის მოცულობა 77 გვერდი, დანაზრინი ფოტო მამბილებელი ასხანგანმარტებითი მასალა — სულ 200 გვ.).

აღნიშნული ნარკვევი უფრო ფართო ტევადობის მოცულობისაა, შეადგენს 400-500 გვ. გაანალიზებულია რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და მიჩვენებული 1960-82 წლებში და საქართველოს საჭირობო ოტო პრობლემები, ნაშრომი დამუშავებულია ფაქტიურად, ოღონდ აკადემიურ სტილში არ არის ჩამოყალიბებული, მოიცავს რაიონისა და საქართველოს მწვავე პრობლემებს.

რაკი სიმართლე ვერსად ვპოვე, ამ ორას გვერდიან მოხსენებით ბარათით მიემართავდი საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებას... ვახეთ „კომუნისტის“ რედაქციას, ეურნალისტთა კავშირს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მწერალთა კავშირს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს და ავლავ ზურაბაშვილს.

იმისათვის რომ ნაწერი არავის წაერთმია, მალევე მივიტანე რედაქციაში. ვინაიდან იმ დღეს რედაქტორს არ ეცალა, საქ. კ. ცეკას პლენუმი იყო, იმ დამეს დედაშვილმა რედაქციის სკამებზე გავათიეთ.

მეორე დღეს ვახეთ კომუნისტის რედაქტორი ანხ. გ. ბედნიევიშვილი, მისი მოადგილე ანხ. გ. ნაჭყვინძე, ეურნალისტთა კავშირის მდივანი ნ. ბეთანიშვილი, წერილების განყების გამგე ანხ. გ. კალანდაძე შეუდგნენ ნარკვევის განცნობას.

ლოკუმენტურმა ნარკვევმა დაინტერესა. რედაქტორმა მთხოვა, დაგვიტოვებ, ხელწერილს მოგცემ, რომ ჩემთან არ დაგეარებათ.

მაგრამ ჩემი სურვილი იყო ჩემი თანდასწრებით გაცნობოდნენ... დავეტეით შეხვედრის დრო 7-8 ღამის შემდეგ, ვილატის ბრძანებით პატ. გ. ბედნიევიშვილმა უარი განმიცხადა საერთოდ ჩემს მიღებაზე — საერთოდ უარი გვითხრეს სხვა რედაქციებზეც შესვლაზე როგორც ბელონისკის, ისე ლენინის ქუჩიდან. მორიგე მილიციებმა ერთ-ერთი რედაქციის თანამშრომელს ასე განუდამტყვე: „მაგათ განზრახული აქვთ „კომუნისტის“ რედაქციის ნახვა, ჩვენ ნაბრძანებია გვაქვს ეგვიცა არ შეგოვუშვათ არცერთ რედაქციაში“.

ამ ამბავს შეესწო პეტრე შოთა ნიშანიძემ, რომელიც ვინახული იმ დღეს მწერალთა კავშირში და ნაწილობრივ ისიც გავცნო ნარკვევს, თქვენ იმ ხანად არ ბრძანდებოდით. ანხ. ციციშვილს, თანამ ჰილაძესაც ვთხოვე დანაშარება.

შეთანხმებისამებრ მივაკითხე 13 აგვისტოს. პატ. გ. ციციშვილი იმ დღეს სამსახურში არ იყო მოსული... იმავე დღეს ეურნალისტთა კავშირში ანხ. ბეთანიშვილს ოფიციალურად ვთხოვე საერთოდ განხილათ ჩემი აღნიშნული ნარკვევი და გამოქვეყნებინათ ვახეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე.

14 აგვისტოს ცეკაობაზე ვიმყოფებოდით დედა-შვილი, გადავწყვიტე სიტყვით მიემართა შეკრებილი საზოგადოებისათვის. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ მოკრძალებით შევიღე კონფერანსიის რაიონული ხელმძღვანელობისათვის ვთხოვა, ნება დაერთო სიტყვის თქმის უფლება, არ მომიცია ამის ნება, მაშინ მე მივმართე პატრიტემულ საზოგადოებას, ნება დაერთო თუ რა უქორს, რა უხლხის ვაქას სამშობლოს კუთხეს — დუშეთის რაიონის, მიიღეს ხალხს: გულდაწყრის მითუღეთს, ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას.

ვაქასადმი პატრეისცემა მარტო ვაქაობაზე შეკრება და გულზე მერილის ცემით ხომ არ გამოიბტე-

ბა და პატრიოტული ლექსებით? ამის თქმა და რაიკომის მდივნის მითითებით თვით პატ. გ. ციციშვილის და ირაკლი აბაშიძისაც არ მოერიდათ, მილიცია მოიხმეს და გაოგნებული საზოგადოების თვალწინ — ასეთ რამეს საზოგადოება არ მოელოდა, თვით დიდი მწერლის საპატრიტემულოდ ეს მინც არ უნდა ეკადრებინათ — დედა-შვილი მილიციის მანქანით წამოგვიყვანეს.

მილიციის საპატიმროში ორი დღე ასე გავათენეთ მჭიდმარე მდგომარეობაში მშვიერ-მწყურვალეებმა. იმდენად არადაძინებები აღმოჩნდნენ, რომ დედასაც არ შეატყობინეს ჩვენი სამყოფელი.

ჩემს მოხსენებით ბარათს, რომელიც პ.მ.გ. პირმა ჩამომართვა 77 გვერდიანი იმავე დამეს, ღამის ორ საათიან ექვრობდნენ რაიკომის მდივანი კერესელიძემ, რაიონის პროკ. ზედავიანი, მილიციის უფროსი რობაქიძე, უშიშროების უფროსი თენგიზ გელაშვილი.

**სამართლის სახალხო გოსნებს: პატ. ქურდული ნაზი**



თენგიზ გელაშვილი მეორე დილით მოვიდა კამერასთან და გამესაუბრა. გვითხრა: „თქვენ ახლავ გაგანთავისუფლებთ, ოღონდ ხება დამრთეთ თქვენს ნარკვევს ყურადღებით გავცნო, დაკარგვისა არ შეგეშინდეთ“...

შუალღისას მილიციის უფროსი რობაქიძე მოვიდა რკინის რკილებიან კართან და უკვე მორიდებით გაგვესაუბრა: „იცით, რაც მოხდა ეს გაურკვეველობა. თქვენს ნარკვევში ისეთი საკითხებია ცეკას-გარეშე გაგვიჭირდება გარკვევა, ხელ დილით ცეკას კომისიას ველოდებით და თქვენი საკითხი გაირკვევა“.

ორშაბათს კი 16 აგვისტოს მილიციის მანქანით თბილისში წამოვიყვანეს მილიციის რწმუნებულნი ჯანგირაშვილის თანხლებით. გვეგონა, ცენტრალურ კომიტეტში მივდიოდით. არა, კვლავ ფსიქიატრიული ინსტიტუტი, ეზოში თიანეთის პროკურორი ჯამაყიძე დახვდა დუშეთის მილიციის მუშაკებს, მისაღების გვერდის ავლით მიგვიყვანეს საპატიმრო განყოფილების ექსპერტთან, განყოფილების III სართულზე.

დიდხანს თათბობდნენ, შემდეგ ჩემს გაგვებზე ცალ-ცალკე და მილიციის თანდასწრებით გაგვესაუბრა ექსპერტი დავით მალარაძე. ცოტა ხანში იგი ვილატა პირს ტელეფონით აცნობდა: „ნორმალურები არიან“...

დიდი გტობის შემდეგ დავით მალარაძემ განგვიცხადა: „ჩვენ უნდა მოგათავსოთ აქ ჩვენთან სტაციონარში და გამოეკვლით თქვენი ფსიქიური მდგომარეობა...“ ორსამ კვირას დაჰყოფთ, დაკვირვებას მოგვითხრეთ... სამაგიეროდ შეერცნობა გეტყვით თქვენს ნორმალურობაზე და ხელს ვერავინ შეგებოთ“.

ჩვენ უარი განვაცხადეთ სტაციონარული მკურნალობაზე, რაზედაც ექსპერტი დაგვთანხმდა, არ მიგონა თუ აღნიშნულ ადგილზე ბოროტება, აღდნი ღვარძლი იქნებოდა. ყველაფერი იქისრეს, ყველაფერი გააკეთეს საქართველოსა და ჩვენმა მტრებმა ჩვენი მორალური და ფიზიკური გახადგურებისათვის.

ვადანაშაულეს ისევე წინადადებული შეითთხილი ბრალდებით. თითქოს 1981 წლის 16 აპრილს კინოთეატრში მე ჩავიდინე ხულიანური მოქმედება, სიტყვებით შეურაცხყოფა მივაყენე საბ. ბაგაბაძის გამგეს ნარგობა აბდულაევ-პაპაიურს. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს ვერ დუშეთის რაიონილიცია განიხილავდა, რაკი ვერ შესძლეს ჩვენი დადანაშაულები, შემდეგ თიანეთის რაიონის პროკურორის დაავალეს „ობიექტური კვლევისათვის“.

ჩვენზე შეითთხილი ბრალდება არ დადასტურებულა, თუმცა თიანეთის პროკურორი ჯამაყიძე ერთობ მოწოდებელი იყო — ზუმარბა ხომ არ იყო, ეს საქმე საწარმოებლად დააწერეს შინაგან საქმეთა სამინისტროდან. რამდენჯერმე იყო იმ ადგილებში, სადაც მე ვსწავლობდი, ვმუშაობდი, დაკითხა ხალხი. კარგი ავტორიტეტის გამო ვერ შესძლეს ჩემზე სისხლის სამართლის რამე მუხლით

და დედა. ეს ორი მოხუცი და გაყოფილი, რომ მოხუცებს ფაზის ჩარევამ დღემდე შედეგა უწყვეტელია, ეს მით უფრო სტურად ექცევა მოხუცებს მავთულხლართებით ისე უკვდა რაიკომის ქმედით ზომ

და დედა. ეს ორი მოხუცი და გაყოფილი, რომ მოხუცებს ფაზის ჩარევამ დღემდე შედეგა უწყვეტელია, ეს მით უფრო სტურად ექცევა მოხუცებს მავთულხლართებით ისე უკვდა რაიკომის ქმედით ზომ

და დედა. ეს ორი მოხუცი და გაყოფილი, რომ მოხუცებს ფაზის ჩარევამ დღემდე შედეგა უწყვეტელია, ეს მით უფრო სტურად ექცევა მოხუცებს მავთულხლართებით ისე უკვდა რაიკომის ქმედით ზომ

და დედა. ეს ორი მოხუცი და გაყოფილი, რომ მოხუცებს ფაზის ჩარევამ დღემდე შედეგა უწყვეტელია, ეს მით უფრო სტურად ექცევა მოხუცებს მავთულხლართებით ისე უკვდა რაიკომის ქმედით ზომ

და დედა. ეს ორი მოხუცი და გაყოფილი, რომ მოხუცებს ფაზის ჩარევამ დღემდე შედეგა უწყვეტელია, ეს მით უფრო სტურად ექცევა მოხუცებს მავთულხლართებით ისე უკვდა რაიკომის ქმედით ზომ

და დედა. ეს ორი მოხუცი და გაყოფილი, რომ მოხუცებს ფაზის ჩარევამ დღემდე შედეგა უწყვეტელია, ეს მით უფრო სტურად ექცევა მოხუცებს მავთულხლართებით ისე უკვდა რაიკომის ქმედით ზომ

და დედა. ეს ორი მოხუცი და გაყოფილი, რომ მოხუცებს ფაზის ჩარევამ დღემდე შედეგა უწყვეტელია, ეს მით უფრო სტურად ექცევა მოხუცებს მავთულხლართებით ისე უკვდა რაიკომის ქმედით ზომ

და დედა. ეს ორი მოხუცი და გაყოფილი, რომ მოხუცებს ფაზის ჩარევამ დღემდე შედეგა უწყვეტელია, ეს მით უფრო სტურად ექცევა მოხუცებს მავთულხლართებით ისე უკვდა რაიკომის ქმედით ზომ

და დედა. ეს ორი მოხუცი და გაყოფილი, რომ მოხუცებს ფაზის ჩარევამ დღემდე შედეგა უწყვეტელია, ეს მით უფრო სტურად ექცევა მოხუცებს მავთულხლართებით ისე უკვდა რაიკომის ქმედით ზომ







